

*თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს  
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს  
გაფთვარ ილმაზის სარჩელთან დაკავშირებით*

## **სოციალური სამართლიანობის ცენტრის სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება**

*(წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის  
პირველი ნაწილის შესაბამისად)*

ბატონო ვასილ,

სოციალური სამართლიანობის ცენტრი წარმოადგენს ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციას. მათ შორის, ორგანიზაცია სისტემურად მუშაობს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვაზე და ამ პროცესში იყენებს სტრატეგიული სამართალწარმოებისა და სამართლებრივი დახმარების ინსტრუმენტების.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 16<sup>1</sup> 1-ელი ნაწილის მიხედვით ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა. წერილობითი მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში უნდა დაეხმაროს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ არის შედგენილი, ის მას არ განიხილავს.

სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიმოიხილავს საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. მოსაზრებაში განმარტებულია რა სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს პასუხისმგებელმა უწყებებმა (მიგრაციის დეპარტამენტი/სასამართლო) საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვისას. ამიკუსში წარმოდგენილი იქნება რა გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა დადგინდეს საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლის შესაძლო დევნის ფაქტი, როგორ უნდა განიმარტოს ამგვარი დევნის საფუძვლიანი შიში, როგორ უნდა განაწილდეს მტკიცების ტვირთი, რომელ ფაქტებს უნდა მიენიჭოს/ არ მიენიჭოს გადაწყვეტი მნიშვნელობა და რამდენად აუცილებელი და საჭიროა ამ კონტექტის დეტალური შეფასება, რომელიც არსებობს წარმოშობის ქვეყანაში.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასებით მიწოდებული ინფორმაცია დაეხმარება სასამართლოს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება გაფთვარ ილმაზის საერთაშორისო დაცვაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების შეფასების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ამიკუსს თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე გაფფარ ილმაზის (GAFFAR ILMAZ; დაბ. თარიღი 30.07.1968 დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა: 61391003142) საქმესთან დაკავშირებით.

**1. საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია სათანადოდ იქნას განხილული გადაწყვეტილების მიღების დროს**

გაფფარ ილმაზი (ქართულ საზოგადოებაში მას იცნობენ თემურ ქათამაძის სახელით) თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეა. მისი წინაპრები კავკასიის რეგიონში მასობრივი გადასახლების (მუჰაჯირობა) დროს აჭარის რეგიონიდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდნენ. 56 წლის გაფფარ ილმაზის ოჯახი თურქეთის რესპუბლიკაში ჰყავს. ის თურქეთში მომუშავე ეთნიკური ქართველების მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის, „ჩვენებურების“ მოქმედი წევრი და ერთ-ერთი ლიდერი და აქტივისტია.<sup>2</sup>

გაფფარ ილმაზი საქართველოში 2012 წელს ჩამოვიდა და მას შემდეგ საქართველო არ დაუტოვებია.

გაფფარ ილმაზის განმარტებით, მისი აქტიური საქმიანობის გამო, რომელსაც ის თურქეთის რესპუბლიკაში, ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნებისთვის მუშაობას უკავშირდებოდა,<sup>3</sup>

გაფფარ ილმაზმა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ სამჯერ (2012, 2015, 2019 წლებში) მიიღო უარი სააგენტოში შეტანილ განცხადებაზე საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე. მას შედეგ რაც გაფფარ ილმაზს საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადა ამოეწორა, ის საქართველოში მოქალაქეობის მიღების პროცესის დასრულებას უკვე სასამართლოში ელოდებოდა. 2020 წლის შემდეგ გაფფარ ილმაზი საქართველოდან გაძევების საფრთხის წინაშე არ დამდგარა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> რადიო თავისუფლება <https://www.radiotavisupleba.ge/a/თემურ-ქათამაძის-ბრძოლა-საქართველოს-მოქალაქეობის-მისაღებად/33327380.html>

<sup>2</sup> რადიო თავისუფლება <https://www.radiotavisupleba.ge/a/33336969.html>

<sup>3</sup> რადიო თავისუფლება

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93/33327380.html>

<sup>4</sup> რადიო თავისუფლება <https://www.radiotavisupleba.ge/a/თემურ-ქათამაძის-ბრძოლა-საქართველოს-მოქალაქეობის-მისაღებად/33327380.html>

გაფფარ ილმაზი მონაწილეობდა ბათუმში გამართულ აქციებში და მას საზოგადოება „მედროშე ბაზუს“ სახელითაც იცნობდა. <sup>5</sup> 2025 წლის 13 იანვარს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით გაფფარ ილმაზი (თემურ ქათამაძე) ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო და ადმინისტრაციულ სახდელად განესაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა 5 დღის ვადით. უფრო ზუსტად, 2025 წლის 11 იანვარს, ბათუმის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, „სტიკერების გაკერის საქმეზე“ საპროტესტო აქციის 12 მონაწილე დააკავეს და მათ შორის იყო თემურ ქათამაძე. 14 იანვარს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის (პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) საფუძველზე, მას 5-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. როგორც 11 იანვრის აქციის მონაწილეები ამბობენ, თემურ ქათამაძის აფრიალებული დროშა შემთხვევით სხვა ადამიანს მოხვდა მხარზე, რაც მისი დაკავების მიზეზი გახდა. 16 იანვარს, თემურ ქათამაძე სამტრედიის იზოლატორიდან გაათავისუფლეს და გათავისუფლებისთანავე, რამდენიმე წუთში, ის პოლიციამ ხელახლა დააკავა საიმპერაციო წესების დარღვევის გამო. <sup>6</sup>

შსს-ს, განცხადებით,<sup>7</sup> გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ თემურ ქათამაძე საქართველოში არალეგალურად იმყოფებოდა, რის შემდგომაც გატარდა კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით მოხდა მისი დაკავება. ეს მუხლი საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების საფუძველს განსაზღვრავს.<sup>8</sup>

გაფფარ ილმაზის თქმით, ადმინისტრაციული წესით დაკავების დროს, მასზე ბათუმის პოლიციის უფროსმა, ირაკლი დგებუაძემ 10 პოლიციელთან ერთად იძალადა. ამის შესახებ გაფფარ ილმაზმა გამოქვეყნებულ წერილში დაწერა. <sup>9</sup> გაფფარ ილმაზის განცხადებით, მის მიმართ პოლიცია დისკრიმინაციულ მიმართვებს იყენებდა და მის იდენტობაზე ხაზგასმას ცდილობდა. <sup>10</sup>

2025 წლის 23 იანვრის თბილისი საქალაქო სასამართლოს ბრძანების საფუძველზე თემურ ქათამაძე მისი დაკავების საფუძველების აღმოფხვრამდე ან მისი საქართველოდან გაძევების გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 3 თვემდე ვადით, მოთავსებულ იქნა დროებითი განთავსების ცენტრში.

<sup>5</sup> რადიო თავისუფლება <https://www.radiotavisupleba.ge/a/თემურ-ქათამაძის-ბრძოლა-საქართველოს-მოქალაქეობის-მისაღებად/33327380.html>

<sup>6</sup> სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება <https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-solidarobas-utskhadabs-batumis-protestebis-daughalav-medroshes-temur-katamadzes>

<sup>7</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება <https://ajaratv.ge/article/144594>

<sup>8</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება <https://ajaratv.ge/article/144594>

<sup>9</sup> ფორმულა <https://formulanews.ge/News/122911>

<sup>10</sup> იქვე

გაფფარ ილმაზმა 2025 წლის 20 იანვარს მიმართა შინაგან საქმეთა მიგრაციის დეპარტამენტს საქართველოს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით. განცხადების რეგისტრაციის შემდეგ გაფფარ ილმაზთან 2025 წლის 22 იანვარს მასთან ჩატარდა ანკეტირება, ხოლო 23 იანვარს გასაუბრება. 2025 წლის 24 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ გაფფარ ილმაზის მოთხოვნა საერთაშორისო დაცვაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გაფფარ ილმაზმა და მისმა წარმომადგენლებმა სასამართლოში გაასაჩივრეს.

გაფფარ ილმაზის დამცველი ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით <sup>11</sup> 2023 წლის 8 იანვარს, თბილისში თურქეთის საელჩოსგან მიღებული ელექტრონული წერილით ეცნობა, რომ მის მიმართ თურქეთში გამოცემულია დაკავების ორდერი. გაფფარ ილმაზის ვარაუდობს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში, მის მიმართ გამოძიება, სავარაუდოდ შეიძლება მის საქმიანობას უკავშირდებოდეს. ამასთან გაფფარ ილმაზის განმარტებით, მის მიმართ გამოძიება შესაძლოა ფეთულა გიულენის ორგანიზაციის წევრებთან, საქართველოში მის პირად მეგობრობას უკავშირდებოდეს.

გაფფარ ილმაზმა საქართველოდან გაძევების მიზნით დაკავების შემდეგ 16 იანვარს მიგრაციის დეპარტამენტის დროებით მოთავსების ცენტრში აბსოლიტური შიმშილობა დაიწყო.<sup>12</sup> გაფფარ ილმაზი მხოლოდ ერთხელ 2025 წლის 15 თებერვალს გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში, გამოკვლევებისა და გარკვეული სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების მიზნით. გაფფარ ილმაზი მიიჩნევდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით იგი საჭიროებდა ჰოსპიტალიზაციას, თუმცა, ამ მოთხოვნაზე მას უარი ეთქვა და იმავე დღეს დააბრუნეს დროებითი მოთავსების ცენტრში.<sup>13</sup>

გაფფარ ილმაზმა ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების გამო 2025 წლის 5 მარტს 48 დღიანი აბსოლიტური შიმშილობის შემდეგ შიმშილობა შეწყვიტა. <sup>14</sup>

---

<sup>11</sup> საიას განცხადება <https://www.interpressnews.ge/ka/article/831493-saia-shss-s-shuamdgomlobit-mimartavs-temur-katamazis-mimart-droebiti-gantavsebis-centrshi-motavsebis-shesaxeb-gamoqenebuli-goniszieba-shecvalos/>

<sup>12</sup> მართალია მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების ცენტრს შიმშილობის შესახებ ცალკე პროტოკოლი არ აქვს, თუმცა მასზე შეიძლება გავრცელდეს საქართველოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №169 “პენიტენციურ დაწესებულებებში მომშობილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”, რომლის მე-2 მუხლი გამოყოფს შიმშილობის ოთხ ფორმას: ა) შიმშილობა – მდგომარეობა, რომელიც ვითარდება, მაშინ როდესაც ორგანიზმი არ ღებულობს მისთვის აუცილებელ საკვებ ნივთიერებებს, ან ღებულობს, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით; ბ) არასრული შიმშილობა – მდგომარეობა, როდესაც მიღებული საკვები არ არის საკმარისი ენერგიის საერთო დანახარჯებთან შედარებით; გ) სრული შიმშილობა – მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმი ღებულობს მხოლოდ წყალს; დ) აბსოლუტური შიმშილობა – მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმი არ ღებულობს არც საკვებს და არც წყალს.

<sup>13</sup> საიას განცხადება <https://gyla.ge/post/temur-qatamadze-shimshilobasagrdelebs>

<sup>14</sup> რადიო თავისუფლება <https://www.radiotavisupleba.ge/a/33336969.html>

## 2. საერთაშორისო დაცვის მინიჭების სახელმძღვანელო სტანდარტები

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით. ხოლო ამავე კანონის მე-19 მუხლის თანახმად 1. ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის ამ კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას იგი ამ კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება. თავის მხრივ 32-ე მუხლით განსაზღვრულია დევნისა და სერიოზული ზიანის შეფასების კრიტერიუმები და დადგენილია, რომ 1. ამ კანონის მე-15 მუხლის მიზნებისთვის ქმედება დევნად მიიჩნევა, თუ: ა) იგი თავისი ბუნებით ან განმეორებადობით იმდენად სერიოზულია, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევაა; ბ) იგი არის სხვადასხვა ქმედების ერთობლიობა, რომელიც იმდენად მწვავეა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევაა. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დევნა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმებით: ა) ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, აქტი; ბ) სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან/და სასამართლო აქტები და ღონისძიებები, რომლებიც თავად არის დისკრიმინაციული ან დისკრიმინაციული ფორმით ხორციელდება; გ) სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი, რომელიც არაპროპორციულია ან დისკრიმინაციულია; დ) დარღვეული უფლების აღდგენაზე სასამართლოს მიერ უარის თქმა, რასაც შედეგად არაპროპორციული ან დისკრიმინაციული სასჯელი მოჰყვება; ე) სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი კონფლიქტის დროს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებაზე უარის თქმის გამო; ვ) ქმედება, რომელიც თავისი ბუნებით გენდერულ იდენტობას, სქესს ან არასრულწლოვანს უკავშირდება. 3. სერიოზული ზიანია: ა) პირის მიმართ სასიკვდილო განაჩენი ან მისი სიკვდილით დასჯის საფრთხე; ბ) წარმოშობის ქვეყანაში პირის წამება, მის მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი; გ) პირის სიცოცხლისთვის სერიოზული ინდივიდუალური საფრთხე განურჩეველი ძალადობის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ რამდენად სწორად გამოიკვლია, დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და საერთაშორისო დაცვას დაქვემდებარებული პირისთვის წარმოშობის ქვეყანაში დევნის ან სერიოზული ზიანის მიყენების რისკის რეალურობა. როგორც ცნობილია, თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით სამინისტრო ახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, შესაბამისად, იგი აღნიშნული აქტის გამოცემისას შეზღუდულია სზაკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მოთხოვნებით, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული აქტის დასაბუთების მოთხოვნას: იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა, წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა

ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავე მუხლის მეხუთე ნაწილი კი დამატებით მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილება იმგვარ არგუმენტებს ან მტკიცებულებებს დააფუძნოს, რომლებიც გამოკვლეული და შესწავლილი არ ყოფილა ადმინისტრაციული წარმოებისას. ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გაითვალისწინოს მოქალაქის ძირითადი უფლებებით დაცული ინტერესები. მეტიც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით „ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივაა მის კომპეტენციაში შემავალი საკითხი გადაწყვიტოს არა მხოლოდ კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონის მოთხოვნებს, არამედ ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის გამოცემისას უნდა იხელმძღვანელოს მიზანშეწონილობის კრიტერიუმებითაც. სამართლებრივი აქტი უნდა პასუხობდეს მიზანშეწონილობისა და კანონიერების მოთხოვნებს. მიზანშეწონილობა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობას საჯარო ინტერესების გათვალისწინებით ოპტიმალურად გადაწყვიტოს სადავო საკითხი და განახორციელოს შესაბამისი მმართველობითი ღონისძიება.“ (ს-755-741(კ-კს-14)

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შეხედულებები და მოსაზრებები უნდა გამომდინარეობდეს დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზნიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არ აქვთ კავშირი საქმესთან და მათი გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სწორად განხორციელდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება, ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორს სადავო აქტების დასაბუთება წარმოადგენს.

## 2.1 სანდოობის ანალიზი

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ საქმეების განხილვისას, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა აუცილებლად უნდა შეაფასონ მტკიცებულებების სანდოობა. ეს შეფასება უნდა გაკეთდეს მიუკერძოებლად და იმგვარად, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა მინიმუმამდე დაიყვანოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ადამიანისთვის დამახასიათებელი სუბიექტურობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ განმარტა, რომ: ზოგადად, მოსარჩელის სანდოობის შემოწმებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა წარდგენილი ფაქტების საფუძვლიანობა და თავშესაფრის მამიებლის მიერ გადმოცემული ფაქტების თანმიმდევრულობა (ანკეტა, გასაუბრების მასალა). სასამართლოს მოსაზრებით, ჩვენების არათანმიმდევრობა დასაშვებია განცხადებაში არაარსებით ფაქტებთან მიმართებით და აღნიშნული ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ზოგადად, განმცხადებლის ჩვენების სანდოობას. საერთაშორისო დაცვის საქმეებზე საჩივრების განხილვისას, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა ცალკე უნდა გამოიტანოს დასკვნა წარსულში განცდილი დევნის ან არასათანადო მოპყრობის თაობაზე არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რადგან მათ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მომავალში ზიანის რისკის შეფასებაზე. კერძოდ, იმის

შეფასებისთვის, ემუქრება თუ არა თავშესაფრის მაძიებელს დევნა ან სერიოზული ზიანი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.<sup>15</sup>

*დევნის მნიშვნელობაზე საუბარი QD დირექტივის (ცვლილებებით) 4(4) მუხლში, რომლის თანახმად: ის გარემოება, რომ განმცხადებლის მიმართ ადრე უკვე განხორციელდა დევნა ან სერიოზული ზიანი ან ასეთი დევნის ან ზიანის პირდაპირი მუქარები, არის სერიოზული მინიშნება, რომ განმცხადებელს აქვს დევნის დასაბუთებული შიში ან რეალურად ემუქრება სერიოზული ზიანი, თუ არ არსებობს მყარი საფუძლიანი ვარაუდისთვის, რომ დევნა ან სერიოზული ზიანი აღარ განმეორდება. აქვე უნდა ითქვას, რომ აბდულლა-ს საქმეში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განაცხადა, რომ როდესაც განმცხადებელი QD დირექტივის (ცვლილებებით) 4(4) მუხლის თანახმად, უთითებს ადრინდელი დევნის ქმედებებზე ან მუქარებზე იმის დასამტკიცებლად, რომ მას აქვს დევნის დასაბუთებული შიში, მან ისიც უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ძველი ქმედებები და მუქარები დაკავშირებული იყო იგივე საფუძველთან, რომელი საფუძველითაც მას მომავალში დევნისაც ეშინია.<sup>16</sup>*

წარსულში განცდილ დევნასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მოსამართლემ არასანდოდ არ უნდა ცნოს განაცხადი მხოლოდ იმიტომ, რომ წარსულში პირისთვის ზიანი არ მიუყენებიათ და ახლა ეს პირი აცხადებს, რომ მომავალში მას შეიძლება საფრთხე დაემუქროს. განმცხადებელს, რომლის მიმართ წარმოშობის ქვეყნის დატოვებამდე არც დევნა ხორციელდებოდა და არც პირდაპირ ემუქრებოდნენ, შეუძლია სხვა მტკიცებულებებით დაამტკიცოს, რომ აქვს დევნის დასაბუთებული შიში განჭვრეტად მომავალში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ერთ-ერთი საქმის განხილვისას, პირდაპირ მიუთითა, რომ მართალია, განმცხადებელი არ უთითებს დევნის კონკრეტულ შემთხვევებზე, თუმცა, მიუთითებს უკან დაბრუნების შემთხვევაში დევნის რეალურ რისკზე და ასეთ შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებლის საფუძველიანი შიშის ობიექტური ელემენტები ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეფასებინა წარმოშობის ქვეყანაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მას არ განუხორციელებია. გარდა ამისა, წარსულში დევნას ლოგიკურად შეიძლება არ ჰქონდეს ადგილი ან მნიშვნელობა.<sup>17</sup>

## 2.2 დევნის მნიშვნელობა

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" გაეროს 1951 წლის კონვენციის მიხედვით ლტოლვილად მიიჩნევა პირი, რომელსაც „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძველიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს **დევნის მსხვერპლი** რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური

<sup>15</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/4672-17;

<sup>16</sup> ევროკავშირის QR დირექტივის 4(4) ცვლილებებით;

<sup>17</sup> UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად),

შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და გაეროს კონვენციით გათვალისწინებული არგამეცების პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ თავშესაფრის მაძიებელი ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირი არ შეიძლება დაბრუნებული იქნეს ქვეყანაში სადაც მის სიცოცხლესა და თავისუფლებას ემუქრება რეალური საფრთხე მისი რასის, რელიგიის ეროვნების, სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავშესაფრის მაძიებლის გაძევებასთან დაკავშირებულ საქმეებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების ჭრილში განიხილავს. სასამართლო არ იხილავს თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა ამოწმებს ხელშემკვრელმა მხარეებმა უცხოელის გაძევებით ხომ არ დაარღვეეს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები. ამ მიზნით სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშემკვრელმა მხარეებმა უარი უნდა თქვან დეპორტაციაზე, თუ არსებობს მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის რეალური საფრთხე. რაც შეეხება რეალური საფრთხის შეფასებას, სასამართლო მიუთითებს ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა ძალადობის ზოგადი მდგომარეობა, პირის ინდივიდუალური გარემოებები, კონკრეტული ჯგუფის წევრობა და ა.შ. სასამართლო კონვენციის დარღვევად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს სადაც მიმღებ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა შეაფასოს დანიშნულების სახელმწიფოში არსებული ვითარება და მაინც იღებს დეპორტაციის გადაწყვეტილებას.

*ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენცია არ იძლევა ტერმინის – დევნის განსაზღვრებას, თუმცა იგი მოცემულია ევროკავშირის კანონმდებლობაში, კერძოდ, საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნების შესახებ ე.წ. QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-9 (1) მუხლში,<sup>18</sup> სადაც ვკითხულობთ, რომ იმისთვის, რომ დევნის აქტი ქენევის კონვენციის 1(A) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში იქნას განხილული, აქტი უნდა იყოს: ა) საკმარისად სერიოზული თავისი ხასიათით ან სისტემატურობით, რათა წარმოადგენდეს ადამიანის ძირითადი უფლებების მძიმე დარღვევას, განსაკუთრებით, ისეთი უფლებების შემთხვევაში, რომელთაგან გადახვევა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-15(2) მუხლის შესაბამისად დაუშვებელია;*

ბ) წარმოადგენდეს სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევის ისეთი ფაქტების, რომელიც საკმარისად მძიმეა, რათა ადამიანზე იმოქმედოს ისევე, როგორც ეს აღნიშნულია ა) პუნქტში.

*ქმედება, რაც მას დევნად გადააქცევს, შეიძლება განისაზღვროს ერთჯერადი აქტითაც, რომლითაც მძიმედ დაირღვა ადამიანის ძირითადი უფლებები და ასეთი ქმედებების განმეორებით ჩადენითაც, თუნდაც ამ ქმედებებიდან თითოეული მათგანი ცალკე აღებული არ უთანაბრდებოდეს მძიმე დარღვევას. მაგალითად, თავისუფლების უმნიშვნელო აღკვეთა, როგორცაა ხანმოკლე უკანონო დაკავება, არ არის საკმარისი, რომ მძიმე დარღვევად*

<sup>18</sup> ევროკავშირის QD დირექტივის(ცვლილებებით) მე-9 მუხლი



ჩაითვალოს მაშინ, როცა თუ ასეთ ღონისძიებას განმეორებითი ხასიათი ექნება – ის შეიძლება გაუთანაბრდეს დევნას. პირის ლტოლვილის სტატუსს განსაზღვრავს საფუძვლიანი შიში, რაც მდგომარეობს არა მხოლოდ შესაბამისი პირის განწყობაში, არამედ პირის განწყობა გამყარებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებით. ამასთან სასამართლოს ეროვნული სასამართლოების შეფასებით ლტოლვილი არის უსამართლობის მსხვერპლი - ან პოტენციური მსხვერპლი, და არა პირი, რომელიც მართლმსაჯულებას გაურბის ან მისი მსოფლმხედველობის გამო არ სურს მიმართოს დახმარებისთვის წარმოშობის ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს. გარდა ამისა, როდესაც პირს მიაწერენ რაიმე პოლიტიკური შეხედულებებს, აუცილებელი არაა, ის რეალურად ახორციელებდეს პოლიტიკურ საქმიანობას: აქ მთავარია მდევნელის აღქმა დევნის ობიექტთან დაკავშირებით და საქმიანობები, რომლებიც მდევნელს მიაჩნია პოლიტიკურ საქმიანობად, რადგან აქ აქცენტები კეთდება მდევნელის აზრზე, საჭირო აღარ არის ზედმეტი ყურადღების გამახვილება, ნამდვილად იყო თუ არა განმცხადებელი პოლიტიკური პარტიის წევრი ან აქტიური პოლიტიკოსი. დევნის საფუძვლებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის გამორკვევას, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი კონვენციაში მოხსენიებული ხუთი საფუძვლიდან ერთ ან მეტ საფუძველსა და იმ დევნის აქტს (აქტებს) შორის, რომელზეც განმცხადებელი მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ მე-6(ა) მუხლი დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელ პოტენციურ აგენტებს შორის პირველს ასახელებს სახელმწიფოს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად არასახელმწიფო აქტორების გამოჩენისა, საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე განაცხადებში, სახელმწიფო რჩება დევნის განმახორციელებელ ტრადიციულ და მთავარ სუბიექტად, რადგან მას ხელთ უპყრია სუვერენული ფუნქციები, მათ შორის, ძალის გამოყენების უფლებამოსილება. ამასთან, სახელმწიფოში, როგორც დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელ აგენტში იგულისხმება დევნის ან სერიოზული ზიანის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მომდინარეობს სახელმწიფოს დე იურე ან დე ფაქტო ორგანოებიდან.

აბდულლა-ს <sup>19</sup>საქმეში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა, რომ სხვა საკითხებთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წარმოშობის ქვეყნის კანონები და რეგულაციები, მათი ცხოვრებაში გამოყენების პრაქტიკა და რამდენად არის ადამიანის მინიმალური უფლებები გარანტირებული ამ ქვეყანაში. ამასთან, ირლანდიის უმაღლესი სასამართლოს თქმით, მხოლოდ ის, რომ არსებობს პოლიციისთვის საჩივრით მიმართვის პროცედურა, საკმარისი არ არის, თუ ამ პროცედურას არ მოსდევს შემდეგ დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნის და მსჯავრდების ეფექტური სისტემა. თუ სახეზეა სახელმწიფოს მხრიდან დაცვის სისტემური მარცხი და განმცხადებლის მიმართ ხორციელდება დევნის ან სერიოზული ზიანის ქმედებები, მაშინ ეს განმცხადებელი შეძლებს დაამტკიცოს, შესაბამისად დევნის დასაბუთებული შიში ან სერიოზული ზიანის რეალური საფრთხე. მაგალითად, ის გარემოება, რომ განმცხადებლის მიმართ წარსულში განხორციელდა დევნა ან სერიოზული ზიანი და მან ვერ მიიღო ეფექტიანი დაცვა

---

<sup>19</sup> CJEU - C-175/08, C-176/08, C-178/08 and C-179/08, Aydin Salahadin Abdulla, Kamil Hasan, Ahmed Adem, Hamrin Mosa Rashi, Dier Jamal v Bundesrepublik Deutschland

მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმის დადგენაში, საქმის განხილვისას, იქნება თუ არა განმცხადებელი უზრუნველყოფილი ასეთი დაცვით.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პრაქტიკაში გამოყენების დროს და საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის განხილვისას უნდა შეფასდეს წამების, შეურაცხყოფის, ძალადობის და სხვა ზიანის მიყენების სუბიექტური შიში არის თუ არა შესაბამისობაში წარმოშობის ქვეყანაში არსებულ ობიექტურ მოცემულობასთან.

*თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ რამდენადაც პირი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემდგომ შესაძლებელი იყო დაქვემდებარებოდა პატიმრობას, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, საჭირო იყო შეფასებულიყო ხომ არ აღმოჩნდებოდა წამების, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის რეალური რისკის წინაშე. ამ მიზნით სასამართლომ შეაფასა თურქეთის რესპუბლიკის საპატიმრო დაწესებულებებში არსებული ვითარება და მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით საპატიმრო პირობები ერთგვარად გაუმჯობესებული იყო, მაინც პრობლემას წარმოადგენდა ადეკვატურ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა.* <sup>20</sup> ამდენად, სასამართლო პრაქტიკაც აჩვენებს, რომ სერიოზული ზიანის განსაზღვრისთვის აუცილებელია შეფასდეს პირის ინდივიდუალური მახასიათებლისა და რისკების შესაბამისობა კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან და არ მოხდეს ზოგადი მითითება წარმოშობის ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებაზე.

შესაბამისად, როგორც ეროვნული კანონმდებლობით აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით სასამართლოს უნდა შეეფასებინა გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ რამდენად სწორად გამოიკვლია, დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და საერთაშორისო დაცვას დაქვემდებარებული პირისთვის წარმოშობის ქვეყანაში დევნის ან სერიოზული ზიანის მიყენების რისკის რეალურობა და რომელიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბათილად ეცნო შსს მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილება თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

### 2.3 მტკიცების ტვირთი

გადაწყვეტილების მიმღების პროცესში, გაურკვეველობა ან ეჭვი განაცხადის ზოგიერთ ნაწილის სანდოობასთან დაკავშირებით, გამოყენებულ უნდა იქნას ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი. <sup>21</sup> აღნიშნული პრინციპი არის გამოხატულება იმისა, რომ განმცხადებლისთვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს განაცხადის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება და რომ საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უმარტებულო უარმა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები. UNHCR- ის სახელმძღვანელოს

<sup>20</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განჩინება საქმეზე №38/2927-19.

<sup>21</sup> ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017.

თანახმად: „მტკიცების ტვირთი ეკისრება თავშესაფრის მადიებელს. თუმცა, ხშირად, შესაძლოა თავშესაფრის მადიებელს არ შეეძლოს მისი განცხადებების დასაბუთება დოკუმენტური ან სხვა მტკიცებულებით. როგორც წესი, თავშესაფრის მადიებელს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეეძლება მისი განცხადებების დამადასტურებელი ყველა მტკიცებულების წარმოდგენა. უმეტეს შემთხვევებში, პირი, რომელიც გაურბის დევნას, ჩამოსული იქნება ყველაზე აუცილებელი მოთხოვნების საგნებით და ძალიან ხშირად, პირადი დოკუმენტების გარეშე კი. ამდენად, მტკიცების ტვირთი პრინციპში, თავშესაფრის მადიებელს აკისრია, ხოლო შესაბამისი ფაქტების დადგენის და შეფასების მოვალეობა ნაწილდება თავშესაფრის მადიებელსა და ლტოლვილის საკითხის განხილვაზე პასუხისმგებელ სპეციალისტს შორის. მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება პასუხისმგებელმა სპეციალისტმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება განცხადების დასაბუთებლად, თუმცა, აღნიშნული სახის დამოუკიდებელი კვლევა შეიძლება ყოველთვის წარმატებული არ გამოდგეს. აგრეთვე, შეიძლება იყოს განცხადებები, რომელთა მტკიცებულებებით გამყარება შეუძლებელი გახდეს. ასეთ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მადიებლის მონათხრობი სანდოდ ჟღერს, მისი განცხადება.<sup>22</sup>

*საწინააღმდეგო მიზეზების არარსებობის შემთხვევაში, დამაჯერებლად უნდა იქნას მიჩნეული. ამდენად, არ უნდა მოხდეს მტკიცებულების მოთხოვნის ძალიან მკაცრად გამოყენება, იმის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილის სტატუსის მადიებლის განსაკუთრებული სიტუაციიდან გამომდინარე, მისთვის რთულია ამ მტკიცებულების მოპოვება. თუმცა, მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება არ ნიშნავს, რომ დაუსაბუთებელი განცხადება აუცილებლად ჩაითვლება სიმართლედ, თუ ის არ შეესაბამება თავშესაფრის მადიებლის მიერ წარმოდგენილ ზოგად მონათხრობს.*~

ვინაიდან გაფფარ ილმაზი თავის სასარჩელო მოთხოვნაში მიუთითებს, რომ მის მიმართ დაწყებულია გამოძიება და შესაძლოა გამოძიების ფარგლებში მას ედავებოდნენ ფებთულა გიულენის გაერთიანების წევრობას, მნიშვნელოვანია სასამართლომ სათანადოდ შეაფასოს თურქეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები.

### 3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლება

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ერთ-ერთი იმ ფუნდამენტური უფლებათაგანია, რომელიც განმტკიცებულია უნივერსალურ და რეგიონულ დონეზე მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას...“ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით დაცულ ურთიერთობათა სფერო საკმაოდ ფართოა და არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას (კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom), 1993 წლის 25 მარტი, 36-ე პუნქტი). არც ადამიანის უფლებათა

<sup>22</sup>ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია (IAღLჟ), ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017, გვ. 32.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ტექსტი და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამომწურავად არ განსაზღვრავს პირად ცხოვრებას. საქმეზე – ნიმიეტი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ: „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა, ძალზე შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი შეიძლება მის მიერ არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, „სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოიშველია „პირადი ავტონომია“, როგორც კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების განმარტების მნიშვნელოვანი პრინციპი. მან მიუთითა, რომ მე-8 მუხლით დაცულია თითოეული ინდივიდის პირადი სფერო, მისი, როგორც ინდივიდუალური ადამიანის, იდენტურობის დეტალების დადგენის უფლების ჩათვლით (იხ. კრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Christine Goodwin v. the United Kingdom), 2002 წლის 11 ივლისი, 90-ე პუნქტი).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი განიმარტა ისე, რომ იგი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ ასევე პოზიტიურ ვალდებულებას. ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ ასევე უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის მესამე მხარის (ფიზიკური და იურიდიული პირები) მიერ დარღვევის შემთხვევაში (პოზიტიური ვალდებულება). თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება პასუხისმგებლობის საკითხი თავად სახელმწიფოსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.<sup>23</sup>

ევროპულმა სასამართლომ ბელჯუდი საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>24</sup>, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ბ-ნი ბელჯუდი ინტეგრირებულია ფრანგულ საზოგადოებაში და მთელი ცხოვრების დიდი ნაწილი საფრანგეთში გაატარა.

ევროპული სასამართლო იმის შეფასებისას, პროპორციულია თუ არა სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის შეზღუდვისათვის, ითვალისწინებს მრავალ ფაქტორს. ასეთ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: მომჩივნის ამ ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობა; იმ პირთა მოქალაქეობა, რომლებზეც ახდენს გავლენას ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა; მომჩივნის ოჯახური მდგომარეობა.

<sup>23</sup> D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 504.

<sup>24</sup> Beldjoudi v. France), 26 მარტი, 1992 წ., Series A no. 234-A,

საქმე ჟუნესი ნიდერლანდების წინააღმდეგ<sup>25</sup> ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არამოქალაქე ოჯახის წევრის დეპორტაცია ქვეყნიდან ჩაითვლება მე-8 მუხლის დარღვევად. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მომჩივნის ნიდერლანდებში ყოფნის 16 წლის განმავლობაში სახელმწიფო თვალს ხუჭავდა მისი არაკანონიერად ქვეყანაში ყოფნაზე, თუმცა შეეძლო, მოეხდინა მისი დეპორტაცია. ამ პერიოდში მომჩივანს ჩამოუყალიბდა ოჯახური, სოციალური და კულტურული კავშირები ნიდერლანდთან. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ მას არ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული.

გაფფარ ილმაზი საქართველოში 12 წელი ცხოვრობს. მას ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყანა არ დაუტოვებია. საქართველოში ყოფნისას მან 2016 წელს ბათუმში ირანისა და თურქეთის ეთნიკურ ქართველებთან ერთად დააფუძნა მსოფლიო ქართველთა კავშირი „ფენიქსი“(აიპი), რომლის მიზანი იყო თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ეროვნული იდენტობის, მშობლიური ენისა და ქართული კულტურის შენარჩუნება და მომავალი თაობებისთვის მათი გადაცემა. 2021 წელს შექმნა დეკლარაცია „ჩვენმა ქართულმა ენამ იარსებოს!“ 2022 წელიდან მართავდა Facebook-გვერდის Gürcü Sosyal Medya (ქართული სოციალური მედია), რომელსაც 200 000 მდე გამომწერი ჰყავს. 2024 წელს გაფფარ ილმაზმა განახორციელა პროექტი „საქართველოს ცის ქვეშ“, რომლის მიზანი საქართველოსა და თურქეთის მხატვრების დაკავშირება იყო.<sup>26</sup>

მნიშვნელოვანია რომ სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს და შეაფასოს გაფფარ ილმაზის საქართველოსთან სოციალური კავშირები და მათი კავშირი მის იდენტობასთან და პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან სასამართლომ სათანადოდ შეაფასოს. მათ შორის გაითვალისწინოს საერთაშორისო დაცვის პროცესის ფარგლებში გაფფარ ილმაზის ქვეყნიდან გამეგების შემთხვევაში მისი უფლებების მოსალოდნელი დარღვევის რისკი.

#### 4. თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები

##### 4.1 არასათანადო მოპყრობა და საპატიმრო დაწესებულებები

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თურქეთის ციხეები გადატვირთულია, პატიმრები ხშირად განიცდიან არასათანადო პირობებს, ცუდ სანიტარიას და არასაკმარის სამედიცინო დახმარებას. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის ოქტომბრისთვის, ქვეყნის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაახლოებით 44,000-ით მეტი პატიმარი იმყოფებოდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

<sup>25</sup> Jeunesse v. the Netherlands[დიდი პალატა], № 12738/10, 3 ოქტომბერი, 2014 წ.,

<sup>26</sup> რადიო თავისუფლება <https://www.radiotavisupleba.ge/a/თემურ-ქათამაძის-ბრძოლა-საქართველოს-მოქალაქეობის-მისაღებად/33327380.html>

უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა და წამების პრევენციის კომიტეტმა (CPT) აღნიშნეს, რომ პატიმრებს ზოგჯერ არ ჰქონდათ წვდომა სუფთა სასმელ წყალზე, სათანადო გათბობაზე, ვენტილაციაზე, განათებაზე, საკვებზე და სამედიცინო მომსახურებაზე.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიშის მიხედვით, უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა გაშუქეს თურქეთის ციხეებში არსებული გადატვირთულობა და ცუდი სანიტარული პირობები, რაც პატიმრების ჯანმრთელობას მნიშვნელოვან რისკებს უქმნის. უფლებადამცველმა ასოციაციებმა გამოხატეს სერიოზული შეშფოთება ციხეებში არასათანადო სამედიცინო მომსახურების გამო, განსაკუთრებით ციხის ექიმების არასაკმარისი რაოდენობის მხრივ.

არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობით, ციხის ადმინისტრაციამ და არა ჯანდაცვის პერსონალმა, ხშირად გადაწყვიტეს, დაუშვან თუ არა პატიმრები საავადმყოფოში. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დამცველმა ჯგუფებმა განაცხადეს, რომ ზოგიერთმა ექიმმა უარი თქვა სამედიცინო დასკვნების გაცემაზე, შურისძიების შიშით, რაც მსხვერპლებს ხელს უშლიდა ძალადობის შესახებ ოფიციალური სამედიცინო დოკუმენტაციის მიღებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა განაცხადეს, რომ ციხის ადმინისტრაციები ხშირად იყენებდნენ შიშვლად გაჩხრეკას როგორც სადამსჯელო პრაქტიკას, განსაკუთრებით ტერორიზმის ბრალდებით მსჯავრდებულ პატიმრებთან და მათ სტუმრებთან მიმართებაში.

უფლებადამცველმა ჯგუფებმა ასევე განაცხადეს, რომ ზოგჯერ პატიმრებს თვითნებურად უკრძალავდნენ ოჯახთან და ადვოკატებთან შეხვედრას.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ზოგჯერ იძიებდა შეურაცხყოფისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებებს, ანგარიშის მიხედვით, ასეთი გამოძიებების შედეგები ხშირად არ საჯაროდ არ იყო ხელმისაწვდომი და უცნობი რჩებოდა, რამდენად ხდებოდა დამნაშავეების პასუხისმგებლობაში მიცემა.

თურქეთის მთავრობამ ციხეების მონიტორინგი გარკვეულ დამოუკიდებელ დამკვირვებლებს დაუშვა, მათ შორის პარლამენტარებს. კანონის მიხედვით, ციხეები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებს უნდა ეკონტროლებინათ, მათ შორის თურქეთის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის ინსტიტუტსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისიას. ასევე, მონიტორინგს ახორციელებდნენ ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი (CPT), გაეროს თვითნებური დაკავებების საკითხზე მომუშავე ჯგუფი და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიშის მიხედვით, თურქეთის ციხეებში მონიტორინგის საკითხი შეზღუდული იყო. ხელისუფლებამ დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს ციხეების მონიტორინგის უფლება არ მისცა. მიუხედავად ამისა, უფლებადამცველი ორგანიზაციები, როგორცაა ადამიანის უფლებათა ასოციაცია (HRA) და სამოქალაქო საზოგადოება სასჯელაღსრულების სისტემაში, პერიოდულად აქვეყნებდნენ ციხეების მდგომარეობის ანგარიშებს. ისინი ეყრდნობოდნენ პარლამენტარების მოწოდებულ ინფორმაციას, პატიმრებთან მიმოწერას, ადვოკატებთან და პატიმართა ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას, ასევე პრესის ცნობებს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივება, განსაკუთრებით პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში. ზოგიერთი დანაშაულისთვის სასამართლო პროცესის მოლოდინის მაქსიმალური ვადა შვიდი წელი იყო. ამ კატეგორიაში შედიოდა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ეროვნული თავდაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კონსტიტუციური წესრიგის დარღვევა, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება, ჯაშუშობა, ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები.

წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა განსხვავდებოდა დანაშაულის სიმძიმის მიხედვით: ადამიანის უფლებათა დამცველები ამტკიცებდნენ, რომ წინასწარი პატიმრობა ხშირად გამოიყენებოდა, როგორც შემაჯამებელი სასჯელი, განსაკუთრებით პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში. პროკურორებს ფართო დისკრეცია ჰქონდათ, რაც მათ საშუალებას აძლევდა, პირები წინასწარ პატიმრობაში დაეტოვებინათ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოტივით.

2023 წლის ოქტომბრის მონაცემებით, წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა 39,772 პირი, რაც ციხის მთლიანი კონტიგენტის დაახლოებით 15%-ს შეადგენდა. თურქეთის ციხეები, როგორც წესი, აკმაყოფილებენ ფიზიკურ პირობებს, როგორცაა ინფრასტრუქტურა და ძირითადი აღჭურვილობა, თუმცა გადატვირთულობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტმა (CPT) 2017 და 2019 წლების ვიზიტების დროს დაადგინა, რომ ბევრ ციხეში არსებული პირობები შეიძლება ჩაითვალოს არაადამიანურ და დამამცირებელ გარემოდ. მიუხედავად იმისა, რომ ციხის ინფრასტრუქტურა ზოგადად დამაკმაყოფილებელია, ის გამოუსადეგარია რამდენიმე დღეზე მეტი ხანგრძლივობის პატიმრობისთვის.

ციხეების გადატვირთულობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში ფუნქციონირებდა 396 ციხე, რომლებიც გათვლილი იყო 286 797 პატიმარზე, თუმცა მათში იმყოფებოდა 336 315 პატიმარი, რაც 49 518-ით აღემატებოდა განსაზღვრულ შესაძლებლობებს.

ადამიანის უფლებათა დამცველმა ჯგუფებმა სერიოზული შეშფოთება გამოხატეს ციხის ჯანდაცვის არასათანადო უზრუნველყოფის შესახებ, განსაკუთრებით ციხის ექიმების არასაკმარისი რაოდენობის გამო. უფლებადამცველების ანგარიშების მიხედვით, ზოგიერთმა ექიმმა უარი თქვა წამების შესახებ სამედიცინო დასკვნის გაცემაზე შურისძიების შიშით. ამის გამო, მსხვერპლებს ხშირად არ მიუწვდებოდათ ხელი ძალადობის ფაქტების სამედიცინო დოკუმენტაციაზე.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხელისუფლება ზოგჯერ იძიებდა სარწმუნო ბრალდებებს პატიმრების შეურაცხყოფისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, თუმცა გამოძიების შედეგები, როგორც წესი, საჯაროდ არ ქვეყნდებოდა, და არც იმას აცხადებდნენ, გატარდა თუ არა რაიმე ზომები დამნაშავეების დასჯის მიზნით. უფლებადამცველების და ადვოკატების ცნობით, ზოგიერთ პატიმარს თვითნებურად ეზღუდებოდა ოჯახის წევრებთან და ადვოკატებთან კონტაქტი.

მთავრობამ ციხეებში გარკვეული დამკვირვებლების, მათ შორის პარლამენტარების მონახულება დაუშვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კანონის მიხედვით, ციხეების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ადგილობრივი სამთავრობო უწყებების მიერ, მათ შორის თურქეთის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებათა საგამომძიებლო საპარლამენტო კომისიის მიერ. ციხეების მონიტორინგის უფლება ასევე ჰქონდათ CPT-ს, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს და გაეროს თვითნებური დაკავების საკითხებზე მომუშავე ჯგუფს.

თუმცა, მთავრობამ დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს ციხეების მონიტორინგის უფლება არ მისცა.

## 4.2 სასამართლო ხელისუფლება

აშშ-ს სახელმძივო დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა კანონით იყო გათვალისწინებული, თუმცა პრაქტიკაში იგი აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის ქვეშ რჩებოდა. მოსამართლეთა და პროკურორთა საბჭოს წევრების უმეტესობას ხელისუფლება ნიშნავდა, რაც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებდა.

სასამართლო სისტემაში მრავალი პრობლემა არსებობდა. მოსამართლეები ხშირად იყვნენ დაშინების ან გადაყენების საფრთხის წინაშე. არსებობდა აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევის ბრალდებები, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობას კიდევ უფრო არყევდა. სასამართლო კადრების მხრივ, მოსამართლეთა და პროკურორების მესამედს ექვს წელზე ნაკლები იურიდიული გამოცდილება ჰქონდა, რაც სისტემის პროფესიონალიზმს საფრთხეს უქმნიდა. განსაკუთრებით პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეებში სასამართლოს დამოუკიდებლობა ხშირად ირღვეოდა.

უფლებადამცველი ორგანიზაციები და სასამართლო პროცესების მონიტორინგის ჯგუფები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთ პოლიტიკურად მგრძობიარე პროცესში სასამართლოს შედეგი წინასწარ განსაზღვრული ჩანდა. ასევე, ხშირი იყო ჟურნალისტებისა და დამოუკიდებელი დამკვირვებლების სასამართლო დარბაზებიდან გაძევების შემთხვევები.

პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის მინიჭებული ფართო თავისუფლება ძირს უთხრის მიუკერძოებლობის პრინციპს. მოსამართლეთა მიდრეკილებამ, უპირატესობა მიანიჭონ სახელმძივოს ინტერესებს, გამოიწვია კანონების არათანმიმდევრული გამოყენება. ამასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვეს ადვოკატთა ასოციაციამ, იურისტებმა და მეცნიერებმა.

პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის განაცხადის პროცედურები ხასიათდება მაღალი სუბიექტურობით, რაც შესაძლოა პოლიტიკურ გავლენას დაუქვემდებაროს დაქირავების პროცესი. ასევე, ეჭვები გაჩნდა ახლად შემოღებულ ტრენინგის სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს, რომ ახალბედა მოსამართლეებმა და პროკურორებმა სამი წლის



განმავლობაში მაღალი რანგის ფიგურების ზედამხედველობის ქვეშ იმუშაონ, რაც, შესაძლოა, პოლიტიზაციის რისკებს ზრდიდეს.

სასამართლოს წინაშე არსებული გამოწვევები, მათ შორის მოსამართლეთა დაშინება, გადაყენება და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ქვეყნის მესამედზე მეტ მოსამართლესა და პროკურორს ექვს წელზე ნაკლები იურიდიული გამოცდილება აქვს. დამკვირვებლები შეშფოთებულნი არიან, რომ ზოგიერთ საქმეზე მიღებული განაჩენები წინასწარ განსაზღვრულია ან სასამართლო პროცესებში ჩარევას მოწმობს.

უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და სასამართლო პროცესის მონიტორინგის ორგანიზაციების ცნობით, პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეებში მოსამართლეები ხშირად კრძალავდნენ ჟურნალისტებისა და დამკვირვებლების დასწრებას სასამართლო დარბაზში, ზღუდავდნენ ბრალდებულთა ჩვენებებს, არ აძლევდნენ მათ სათანადო სიტყვის უფლებას და უარს აცხადებდნენ დაცვის შუამდგომლობების განხილვაზე ახსნა-განმარტების გარეშე.

სექტემბერში საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ოსმან კავალას განაჩენი. გამოჩენილი ქველმოქმედი და ბიზნესმენი, რომელსაც 2016 წლის გადატრიალების მცდელობასა და 2013 წლის გეზის პარკის საპროტესტო აქციებში მონაწილეობა ბრალდება, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECtHR) მიერ მისი გათავისუფლების ორდერის მიუხედავად, კვლავ პატიმრობაში რჩება. ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ კავალას მიმართ წარმოებული სასამართლო პროცესი უსამართლო და პოლიტიკურად მოტივირებული იყო.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ანგარიშის მიხედვით, ადამიანის უფლებებთან, მათ შორის გამოხატვისა და პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების უმეტესობა არ შესრულებულა.

პოლიტპატიმრების ზუსტი რაოდენობა კვლავ დავის საგანია. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 15,539 ადამიანი კვლავ ციხეში იმყოფება, სავარაუდოდ, გიულენის მოძრაობასთან კავშირის გამო. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, 8,500 პირი წინასწარ პატიმრობაში ან უკვე მსჯავრდებულია, სავარაუდოდ კავშირების გამო PKK-სთან.

დამკვირვებლები ამტკიცებენ, რომ მნიშვნელოვან რიცხვს შორის არიან პირები, რომლებიც დაკავებულნი არიან ჟურნალისტური საქმიანობის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან ხელისუფლების კრიტიკის გამო. ხელისუფლება ამ ბრალდებებს უარყოფს.

#### **4.3 ფეკთულაჰ გიულენის მოძრაობის მიმართ მიმდინარე სამართლებრივი პროცესები**

ფეკთულაჰ გიულენის მოძრაობა რელიგიური, საგანმანათლებლო და სოციალური ორგანიზაციების ჯგუფი თურქეთში და მის ფარგლებს გარეთ, რომელიც დაარსდა და

შთაგონებულია ფეთქულა გიულენის მიერ. 2016 წლის მაისში თურქეთმა ეს მოძრაობა ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა და მას ფეთქულას ტერორისტული ორგანიზაცია (FETO) უწოდა.

2016 წლის 15 ივლისს თურქეთის მთავრობამ სამხედრო გადატრიალების მცდელობა გიულენის მოძრაობას მიაწერა, რის შემდეგაც 20 ივლისს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა (რომელიც 21 ივლისს ამოქმედდა და 2018 წლის 18 ივლისამდე გაგრძელდა).

გადატრიალების მცდელობის შემდეგ, ხელისუფლებამ ჩაატარა მასშტაბური დარბევები იმ პირებისა და ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც, სავარაუდოდ, დაკავშირებულნი იყვნენ გიულენის მოძრაობასთან. ამის შედეგად:

ასობით ათასი ადამიანი დააკავეს და დაპატიმრეს, 117 000-ზე მეტ ადამიანს ბრალი წაუყენეს ანტიტერორისტული კანონების საფუძველზე, 130 000-ზე მეტი საჯარო მოხელე სამსახურიდან გაათავისუფლეს, 2 300-ზე მეტი ბიზნესსა და დაწესებულებას ლიცენზია გაუუქმდა, განახორციელეს აქტივების კონფისკაცია, დევნა გავრცელდა თურქეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თურქ მოქალაქეებზეც.

ყველაზე მეტი დაკავება საგანგებო მდგომარეობის 2-წლიან პერიოდში მოხდა. 2022 წლის ივლისის მონაცემებით<sup>27</sup>: დაკავებულთა რიცხვმა 101 000-ს გადააჭარბა, 332 484 ადამიანი იქნა დაკავებული, ასობით პირი კვლავ განიცდიდა დევნას, მათ შორის ყოფილი მასწავლებლები, სამხედრო და პოლიციის ოფიცრები/კადეტები, გიულენის მოძრაობის სავარაუდო მხარდამჭერების ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის გამო რამდენიმე პირი იქნა დაპატიმრებული.

ჯამში, 97 139 ადამიანი გაასამართლეს, ხოლო 12 108 პირი კვლავ ციხეში იმყოფება. გამოძიება 67 893 პირის მიმართ კვლავ გრძელდებოდა. თუმცა, აღნიშნულ ციფრებში შესაძლოა შედიოდნენ ის პირებიც, რომლებიც სხვა ტერორისტულ ჯგუფებთან, მაგალითად, PKK-სთან, იყვნენ დაკავშირებულნი.

ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ 2021-2022 წლების ანგარიშში ხაზგასმულია დაკავების ცენტრებსა და ციხეებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების ზრდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, გიულენის მოძრაობასთან შესაძლო კავშირის მქონე პირები განსაკუთრებით დიდი ალბათობით ექვემდებარებიან არასათანადო მოპყრობას და შესაძლოა, უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი. თუმცა, თურქეთის მთავრობა მსგავს ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

დევნისა და სერიოზული საფრთხის წინაშე დგას თუ არა პირი, რომელიც გიულენის მოძრაობის წევრად მიიჩნევა (ან აღიქმება როგორც მისი მხარდამჭერი), ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა იყოს განხილული არსებითი მტკიცებულებების საფუძველზე.

---

<sup>27</sup> აშშ-ს დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიში <https://www.state.gov/reports/2022-country-reports-on-human-rights-practices/turkey/>

თუ პირს სახელმწიფოს მხრიდან დევნის რეალური საფრთხე ემუქრება, ის, როგორც წესი, ვერ მიიღებს სახელმწიფო მფარველობას ან იძულებით გადაადგილდება. თუ ასეთი პრეტენზია უარყოფილია, ის, როგორც წესი, არ განიხილება „აშკარად უსაფუძვლოდ“.

**ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს<sup>28</sup> მონაცემებით, გიულენის მოძრაობაში მონაწილეობა თავისთავად არ იწვევს სისხლისსამართლებრივ დევნას, თუმცა წარსულში ჩართულობამ შესაძლოა აწმყოში სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გიულენის მოძრაობაში წევრობა ადრე დანაშაულად არ მიიჩნეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თურქეთმა შეცვალა თავისი პოლიტიკა ჯგუფის მიმართ, ახლა შესაძლებელია ადამიანების კრიმინალურ ქმედებებში დადანაშაულება მათი წარსული აქტივობების საფუძველზე.**

გიულენის მოძრაობის სავარაუდო წევრების სისხლისსამართლებრივი დევნა ხშირად თვითნებურ ხასიათს ატარებს. ადვოკატებისა და ოპოზიციური ჯგუფების შეფასებით, ზოგიერთი მტკიცებულება, რომელსაც ხელისუფლება იყენებს გიულენის მოძრაობის სავარაუდო მხარდამჭერებისა და ზოგადად, მთავრობის კრიტიკოსების წინააღმდეგ, იურიდიულად საეჭვოა.

გარდა ამისა, ევროკომისიამ გამოხატა შეშფოთება თურქეთის სამართლებრივი სისტემის მიმართ, კერძოდ, კანონმდებლობის შერჩევითი და თვითნებური გამოყენების, ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საკითხებზე.

**2022 წლის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის (USSD) ადამიანის უფლებათა ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაცვის ადვოკატებისა და ოპოზიციური ჯგუფების შეფასებით, პროკურორები ხშირად ეყრდნობიან სამართლებრივად საეჭვო მტკიცებულებებს სისხლისსამართლებრივი ბრალდებების წარდგენისა და განაჩენების გამოტანის მიზნით. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ეს პრაქტიკა გავრცელებულია ფართო სპექტრის ადამიანების წინააღმდეგ, მათ შორის გიულენის მოძრაობის სავარაუდო წევრებისა და მათი შვილობილი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ.**

ასევე, დასკვნაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ადვოკატი თავს იკავებს გარკვეული საქმეების აღებაზე, განსაკუთრებით იმ ექვმიტანილების შემთხვევაში, რომლებიც ბრალდებულნი არიან PKK-ის ან გიულენის მოძრაობასთან კავშირში, რეპრესიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შიშის გამო. ევროკომისიის 2022 წლის თურქეთის ანგარიშის მიხედვით, ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები განაგრძობდნენ ცნობების გავრცელებას უშიშროების ძალების მიერ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების შესახებ. ეს დარღვევები მოიცავდა წამებას, არასათანადო მოპყრობას, თვითნებურ დაპატიმრებებსა და პროცედურული უფლებების დარღვევას. თუმცა, მოხსენებაში არ არის მოცემული კონკრეტული მონაცემები ამგვარი დარღვევების მასშტაბის შესახებ. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო ბაზა საშუალებას აძლევს მთავრობას შეინარჩუნოს არასათანადო პოლიტიკური გავლენა

<sup>28</sup> ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს 2023 წლის ანგარიში <https://www.ecoi.net/en/document/2078792.html>

სასამართლო პოლიციაზე, რამაც გავლენა მოახდინა დამოუკიდებელ და ეფექტურ გამოძიებაზე.

#### 4.4 ძალადობა და დევნა

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის<sup>29</sup> მიხედვით, თურქეთში ადგილობრივმა და საერთაშორისო უფლებადამცველმა ჯგუფებმა განაცხადეს, რომ ზოგიერთი პოლიციელი, ციხის ხელმძღვანელობა, სამხედრო და დაზვერვის ქვედანაყოფები იყენებდნენ არასათანადო მოპყრობის პრაქტიკას. უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა, ოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა და საერთაშორისო უფლებადამცველმა ჯგუფებმა განაცხადეს, რომ სამთავრობო აგენტები ჩართულნი იყვნენ მუქარასა და არასათანადო მოპყრობაში, განსაკუთრებით იმ პირების მიმართ, რომლებსაც სავარაუდო კავშირი ჰქონდათ PKK-სთან ან გიულენის მოძრაობასთან.

უფლებადამცველმა ჯგუფებმა აღნიშნეს, რომ პოლიციის ძალადობა ხდებოდა არა მხოლოდ დაკავების დროს, არამედ პოლიციის შენობების გარეთაც. განსაკუთრებით მწვავე ვითარება დაფიქსირდა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც პოლიციის ზოგიერთი დაწესებულება გამოირჩეოდა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებით.

კანონი პროკურორებს აძლევდა უფლებას, შეეჩერებინათ ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალურობა და დაეკვირვებინათ ან ჩაეწერათ საუბრები ბრალდებულსა და მათ იურიდიულ წარმომადგენლებს შორის. ტერორიზმში ბრალდებული ზოგიერთი ადვოკატი თავად გახდა სისხლის სამართლის დევნის ობიექტი.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს ექვმიტანილის თვითნებურ ან ფარულ დაკავებას, მრავალი ცნობით, მთავრობა არ იცავდა ამ აკრძალვებს.

„Freedom house-ის“ 2023 ანგარიშის<sup>30</sup> მიხედვით, პოლიცია ხშირად იყენებს ძალას მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დასაშლელად და იშვიათად ექვემდებარება ეფექტურ გამოძიებას ან სამართლებრივ დევნას.

ევროკომისიის 2022 წლის<sup>31</sup> თურქეთის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის სერიოზული შეშფოთება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაუარესებასთან დაკავშირებით არ იქნა განხილული. გარდა ამისა, ანგარიში მიუთითებს, რომ სასამართლო სისტემა ოპოზიციური პარტიების წევრების სისტემატურად დევნას აგრძელებდა, განსაკუთრებით ტერორიზმთან დაკავშირებულ სავარაუდო დანაშაულებთან დაკავშირებით.

იმავე ანგარიშის მიხედვით, 2016 წლიდან დაწყებული სასამართლო სისტემის გაუარესება საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა. შეშფოთებას იწვევდა სასამართლოს სისტემური

<sup>29</sup> აშშ-ს დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიში

<sup>30</sup> Freedom house-ის“ 2023 ანგარიში <https://freedomhouse.org/country/turkey/freedom-world/2023>

<sup>31</sup> ევროკომისიის 2022 წლის ანგარიში [https://enlargement.ec.europa.eu/turkiye-report-2022\\_en](https://enlargement.ec.europa.eu/turkiye-report-2022_en)

დამოუკიდებლობის ნაკლებობა და მოსამართლეებზე და პროკურორებზე პოლიტიკური ზეწოლა. გაიზარდა სასამართლო ხელისუფლების მიერ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დაცვის საკითხებზე არსებული კრიტიკა, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის გამო. განხორციელდა 2021 წლის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა და 2019 წლის სასამართლო რეფორმის სტრატეგია, თუმცა, ორივე დოკუმენტმა ვერ მოიტანა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სასამართლო სისტემაში. გადატრიალების მცდელობის შემდეგ სამსახურიდან გათავისუფლებული მხოლოდ 515 მოსამართლე და პროკურორი აღადგინეს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანი გამართლდა. პროკურორებისა და მოსამართლეების დანიშვნის, დაწინაურებისა და შეფასების ობიექტური, დამსახურებაზე დაფუძნებული სტანდარტების არარსებობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

2023“ ანგარიშში Freedom House-მა განაცხადა, რომ სასამართლო დამოუკიდებლობა სერიოზულად დაზარალდა, რადგან 2016 წლიდან ათასობით მოსამართლე და პროკურორი მთავრობის ლოიალისტებით შეიცვალა. 2018 წელს ძალაში შესული საპრეზიდენტო სისტემის მიხედვით, თურქეთის მოსამართლეთა და პროკურორთა საბჭოს (HSK), რომელიც ზედამხედველობს სასამართლოს დანიშვნებსა და დისციპლინურ ზომებს, ახლა პრეზიდენტი ნიშნავს და არა პარლამენტის წევრები. ამის შედეგად, პროკურორები და მოსამართლეები ხშირად იცავენ ხელისუფლების ხაზს. მოსამართლეები, რომლებიც ხელისუფლების სურვილებს ეწინააღმდეგებიან, თანამდებობიდან გადააყენეს და შეცვალეს, ხოლო ისინი, ვინც ერდოღანის კრიტიკოსებს დევნიდნენ, დაწინაურდნენ.

პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მეცნიერები და სტუდენტები ხშირად ხდებიან პოლიტიკურად მოტივირებული დევნის სამიზნე. საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლიდან გარკვეული დამოუკიდებლობა აჩვენა, თუმცა, ის კვლავ ექვემდებარება პოლიტიკურ გავლენას და ხშირად იღებს გადაწყვეტილებებს AKP-ის ინტერესების შესაბამისად.

#### 4.5 ეთნიკური უმცირესობის უფლებები

უმცირესობების მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში გადამწყვეტია მათი იდენტობის შენარჩუნებისა და სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მექანიზმებმა უნდა უზრუნველყონ უმცირესობების წარმომადგენლობა ეროვნულ პარლამენტში, საჯარო სამსახურში, პოლიციაში და სასამართლო ხელისუფლებაში, აგრეთვე, მათი კონსულტირება იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მათ უშუალოდ ეხება.

თურქეთის სახელწიფო ყურადღებას ამახვილებს თურქების ეთნიკურ და ენობრივ დომინირებაზე სხვა ეთნიკურ იდენტობებზე. ერთენოვანი ენობრივი პოლიტიკა, რომელიც ოფიციალურად უპირატესობას ანიჭებს თურქულ ენას სხვა ენებზე, ადრეული რესპუბლიკის პერიოდიდანვე იყო გაბატონებული. როგორც გაეროსა და ეუთოს წევრი, თურქეთი ვალდებულია შეესაბამებოდეს ამ ორგანიზაციების უმცირესობათა უფლებების სტანდარტებს. თუმცა, ის კვლავ ძალიან შეზღუდულად იყენებს ტერმინს „უმცირესობა“ და უარს ამბობს მათთვის შესაბამისი უფლებების მინიჭებაზე. თურქეთში არსებული ანტიდემოკრატიული

რეალობისა და უსამართლობის ფონზე, უმცირესობათა თემების მდგომარეობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.<sup>32</sup>

თურქეთში კონსტიტუციური შეზღუდვები არსებობს უმცირესობათა ენების გამოყენებასთან დაკავშირებით განათლებაში. კონსტიტუციის 42-ე მუხლი თურქულ ენას აცხადებს თურქეთის მოქალაქეების „დედაენად“ და კრძალავს საჯარო განათლებას ნებისმიერ სხვა ენაზე, გარდა ლოზანის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა.

42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თურქული ენა განსაზღვრულია როგორც „ენა“, რაც განასხვავებს მას სახელმწიფოს „ოფიციალური ენისგან“. ამ დებულების პრობლემურობა გამომდინარეობს თურქეთის სასამართლოების მიერ მისი შემზღუდველი ინტერპრეტაციისგან, როგორც ამას ცხადყოფს მასწავლებელთა კავშირის დაშლის ბოლო გადაწყვეტილება. აღნიშნული ორგანიზაცია დაიხურა იმ მიზეზით, რომ მშობლიურ ენაზე განათლების მხარდაჭერამ, სასამართლოს შეფასებით, დაარღვია კონსტიტუციის მე-3 მუხლი, რომელიც არ ცნობს უმცირესობათა ენების არსებობას.

ამავდროულად, სახელმწიფო აფინანსებს თურქული ენის, ისტორიისა და კულტურის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას.

ლოზანის ხელშეკრულება არამუსლიმურ უმცირესობებს ანიჭებს უფლებას დააფუძნონ, მართონ და გააკონტროლონ საკუთარი ხარჯებით საქველმოქმედო, რელიგიური და სოციალური დაწესებულებები, სკოლები და სხვა საგანმანათლებლო ცენტრები.

ხელშეკრულება ასევე უზრუნველყოფს მათ შესაძლებლობას, გამოიყენონ და ასწავლონ საკუთარი ენა, თავისუფლად აღიარონ და იქადაგონ საკუთარი რელიგია. გარდა ამისა, ხელშეკრულება უმცირესობათა ენებზე დაწყებითი საჯარო განათლების სახელმწიფო დაფინანსების პირობით უფლებასაც ითვალისწინებს.<sup>33</sup>

მუნიციპალიტეტებში და საჯარო სამსახურში მონაწილეობა უმცირესობებისთვის კვლავ კრიტიკულ გამოწვევად რჩება თურქეთში.<sup>34</sup>

## 5. დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სასამართლომ შეაფასოს ერთის მხრივ, გაფუარ ილმაზის დაკავების შესახებ თურქეთში გაცემული ორდერის საკითხი

---

<sup>32</sup> Unveiling Discrimination: Minorities in Türkiye <https://minorityrights.org/resources/unveiling-discrimination-minorities-in-turkiye/>

<sup>33</sup> იქვე

<sup>34</sup> Turkey: Release Politicians Wrongfully Detained for 7 Years', 03.11.2023, Human Rights Watch, <https://www.hrw.org/news/2023/11/03/turkey-release-politicians-wrongfullydetained-7-years>

და თურქეთში მისი საქმიანობის გამო შესაძლო პოლიტიკური დევნის რისკები, მეორეს მხრივ კი თურქეთში ზოგადად ადამიანის უფლებების კუთხით არსებული რთული მდგომარეობა. სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა.

სასამართლომ სათანადო ყურადღება უნდა გაამახვილოს გაფფარ ილმაზის ინდივიდუალური გარემოებებზე, რადენად ქმნის ისინი მოსარჩელის მიმართ ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის და სამართლიან სასამართლოზე უფლების დარღვევის რისკებს.

მნიშვნელოვანია რომ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლომ შეაფასოს გაფფარ ილმაზის იდენტობის საკითხები და საქართველოსთან ეთნიკური, კულტურული და სოციალური კავშირები, რომელიც ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ქვეშ არის დაცული.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი იმედოვნებს, რომ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში წარმოდგენილი ინფორმაცია დაეხმარება სასამართლოს სათანადოდ შეაფასოს გაფფარ ილმაზის საერთაშორისო დაცვაზე უარის თქმის გადაწყვეტილების „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის საკითხი.

*პატივისცემით,  
თამთა მიქელაძე  
დირექტორი*